ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი
N3

ქ. თბილისი; 24 ნოემბერი 2017 წ. 10:30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
ლილე ლიპარტელიანი
ელენე ოზაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საკრებულოში - **გოგა მამფორია**

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-**სოსო ქარცივაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის იურისტი-**ლია ჭაჭუკაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს **უფროსი-ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს პრივატიზების განყოფილების **უფროსი-ქვარა ჩართოლანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-**მალხაზ ჭამპურიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-**ლევან მიქავა**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ „JEC Fund" - ისგან გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი N01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის ირაკლი ნადირაძის-წერილი, ფრაქციის წესდებაში ცვლილების და მოადგილედ ნიკოლოზ ვაჩეიშვილის არჩევის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა **სოსო ქარცივაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ „JEC Fund" - ისგან გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „JEC Fund" - ის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გრანტის გამოყოფის მიზანია, გრანტის მიმღებ მუნიციპალიტეტს ნაწილობრივ აუნაზღაურდეს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე იაპონური ბაღის მოწყობისთვის გაწეული ხარჯები.

ბატონმა **სოსო ქარცივაძემ** დასძინა, რომ „JEC Fund" - ისგან გამოყოფილი გრანტი შეადგენს - **5 600 000** იენს.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** განმარტებით, მიზანშეწონილია, რომ **განკარგულების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლად ასევე** მიეთითოს **საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-5 პუნქტი,** რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის, კანონით დადგენილი წესით, მიიღოს გრანტი, საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი გარემობანი:

- გრანტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიიღება;
- გრანტის გამცემია საართველოს სამინისტრო ან „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- **გრანტის მიმღებია თბილისი.**

შესაბამისად, განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- **,,საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის <u>მე-5</u> და მე-7 პუნქტების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ „JEC Found" -ისგან გრანტის მიღების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 1 ნოემბრის N41.07.798 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:"**

გარდა ამისა, ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტისა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **წარმოდგენილ განკარგულების პროექტში, ხელმომწერ პირად უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა **მალხაზ ჭამპურიძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირების წესით წარმოდგენილი **„საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი** საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, **საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო** გზით **„ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“** მგზავრთა **გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული** კატეგორიების **შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს **2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ** თბილისის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015 წლის 27 მარტის N6-25** დადგენილებაში, კონკრეტულად კი დადგენილებას ემატება **21¹** მუხლი.

ბატონი **მალხაზ ჭამპურიძის** თქმით, აღნიშნული დადგენილების **21-ე მუხლის** თანახმად, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე, მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურებას, უზრუნველყოფს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური,** წარმოდგენილი ცვლილების თანახმად კი **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“** შემოსავლებსა და ხარჯებში შესაბამისი რესურსის მოძიების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ დადგენილების 21-ე მუხლით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება შესაძლებელი იქნება **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საკუთარი** შემოსავლებიდან.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება მოტივირებულია, **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“** მიერ 2017 წელს დამატებით მიღებული შემოსავლებით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი ქალბატონი **თინათინ ნიბლოშვილი** დაინტერესდა თუ რამდენად პერსპექტიულია საკითხი იმის შესახებ, რომ მომავალში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ შემოსავლებში გაჩნდეს დადგენილებით გათვალისწინებული ასანაზღაურებელი თანხების დაფარვისთვის საჭირო შესაბამისი რესურსი.

მომხსენებლის თქმით, მხოლოდ წელს, გაბილეთიანების სისტემის აუქციონზე, რომელშიც მონაწილეობდა 2 (ორი) უმსხვილესი კომპანია, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ მიიღო **22 200.0 ათასი ლარი,** დაგეგმილთან შედარებით **12 200.0 ათასი ლარით მეტი,** რაც გახლდათ არსებული ცვლილების განხორციელების საფუძველი.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნეს მითითება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაზე.

ამასთან, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია **საკრებულოს დადგენილება.**

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამრთლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის დადგენილი წესით.

ამასთანავე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება.

გარდა ამისა, იურიდიულ საკითხთა **კომისიის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017 წლის 8 მაისის N9-37 დადგენილებით,** ცვლილება შევიდა „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი -კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილების** პირველ მუხლში, რომლითაც პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული **საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“** მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით დამტკიცდა **2.5 ლარის ოდენობით,** მიზანშეწონილია **ამავე დადგენილების** პროექტით ცვლილება შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015 წლის 27** მარტის N6-25 დადგენილების **21-ე მუხლში** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 21.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ამ დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას – 0,5 ლარი, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ **გადაყვანისას - 2.5 ლარი** და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ გადაყვანისას – 1,0 ლარი) შესავსებად თანხების ანაზღაურება.“

იურიდიულ საკითხთა კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ “საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით “რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში ზემოაღნიშნული დადგენილების 21-ე მუხლში ცვლილების გათვალისწინების შესახებ კომისიის თავმჯდომარის წინადადება მოიწონა.**

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის დასკვნას თან დაერთვება ხსენებული ცვლილების გათვალისწინებით დადგენილების პროექტი, რომელიც წარედგინება ბიუროს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული **შენიშვნა/ცვლილების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს **უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს

წარუდგინა „ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში **(საკადასტრო კოდი N01.16.03.010.009)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროით ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ბატონი **ირაკლი თავართქილაძის** თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისი"-ს წევრი ქალბატონი **ელენე ოზაშვილი** დაინტერესდა, თუ რა გზით იქნება შესაძლებელი ეკონიმიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული, საკუთრებაში გადასაცემი ფართების დაინტერესებული პირებისთვის გადაცემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის ბატონი **ირაკლი თავართქილაძის** განმარტებით, არსებობს სიტყვიერი შეთანხმება სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის, რომლის მიხედვითაც სამინისტრო აღნიშნულ ფართებს გადმოსცემს მუნიციპალიტეტს, ხოლო ამის შემდგომ შემდგომ მუნიციპალიტეტი გადასცემს დაინტერესებულ პირებს.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ასევე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სასურველია მიეთითოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი,** რომლის თანახმად საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ.თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წამოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ა" **ქვეპუნქტის,** ნაცვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ა" **პუნქტი.** ამასთან ერთად, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ქ.თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულება, რადგან ვერ განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში აღნიშნული განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ ნუსხაში მითითებულ პირებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან განმეორებით იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების საკითხი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რამდენადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, წარმოდგენილი განაკარგულების პროექტის მეორე პუნქტში უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულების ძალადაკარგულად ცნობის საკითხი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ.თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულება.“
შესაბამისად, ამავე განკარგულების მეორე პუნქტი განისაზღვროს მე-3 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრებს აცნობა, რომ მ/წლის 21 ნოემბერს იურიდიულ საკითხთა კომისიაში შემოვიდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ირაკლი ნადირაძის წერილი, რომლის მიხედვითაც ფრაქციის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, ფრაქციის წესდებაში შევიდა ცვლილება და მიზანშეწონილად ჩაითვალა ფრაქციის თავმჯდომარის ორი მოადგილის თანამდებობის არსებობა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ფარქციის წევრი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რეგლამენტის“ 35-ე მუხლში 2017 წლის 15 ნოემბერს შეტანილი ცვლილების თანახმად, ფრაქცია უფლებამოსილია ჰყავდეს ერთზე მეტი მოადგილე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიამ მოისმინა და ცნობის სახით მიიღო ინფორმაცია, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წესდებაში ცვლილებებისა და მოადგილედ ნიკოლოზ ვაჩეიშვილის არჩევის შესახებ საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია